თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 1 მაისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 6

ქ. თერჯოლა

1 მაისი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუცარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. თამარ ახვლედიანი, 19. ფრიდონ გვენეტაძე, 20. დავით ცხადაძე, 21. ნატალია ასათიანი, 22. მერაბი ბასილაძე, 23. რუსუდან კოვზირიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ეკა ბერძენიშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. ტარიელ ფანჩულიძე, 6. როლანდი მესხი, 7. ივანე ჩუბინიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{30}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის დაწყებამდე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ დავით ცხადაძემ გააკეთა განცხადება სხდომის დატოვების შესახებ, ისინი უერთდებიან თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციას და აპროტესტებენ ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282411044, 19.042024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ .

მოხსენების შემდგომ მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ დეპუტატებს დეტალურად გააცნო პირველი ტრანშით გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ (განკარგულება № გ-29.2924122001, 01.05.2024 წ.).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ რუსუდან კოვზირიძემ - მან ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და აღნიშნა, რომ ორივე მხარის პოზიცია ქვეყნისათვის დამაზიანებელია.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი